№ 102

შაბათი, 13 მაისი, 1900 წ.

187 —1900

# ივერია

№ 102

შაბათი, 13 მაისი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 22

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში, და თუ ვინიცობაა ამინდმა ხელი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქნება 28 და 29 მაისისათვის. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

„ქართულის დრამატიული საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს

## სამ პრემიას
**150 მან., 100 მან. და 75 მან.**

ქართულ ორიგინალურ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად. პრემიის პირობები შემდეგია:

I. საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალური, სცენაზედ დაუდგმელი დ დაუბეჭდავი. ამასთანავე უნდა შეიცავდეს არა ნაკლებ 4 მოქმედებისა.

შენიშ. პრემია შეიძლება მიეცეს სამ მოქმედებიანს პიესასაც სალიტერატურო და სასცენო უფლებებისათვის.

II. „დრამატ. საზოგად. გამგეობის“ სახელზე უნდა გამოიგზავნოს პიესა რაიმე დევიზის ზედწარწერით და დაბეჭდილი კონვერტით, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა პიესა ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად.

III. ვადა პიესის გამოგზავნისა არის არა უგვიანესი პირველის სექტემბრისა, 1900 წ.

IV. პრემია მიეცემა ერთიანად, ან და მხოლოდ იმის ერთი ნაწილი.

V. საზოგადოების გამგეობას აქვს უპირატესი უფლება დაჯილდოებული პიესა წარმოადგინოს თავისს თეატრში ორის წლის განმავლობაში, პრემიის მიცემის დღიდგან; ავტორს არა აქვს უფლება პირველ წარმოდგენამდე ვინმეს სხვაგან წარმოდგენის ნება მისცეს, ხოლო გამგეობის ნება-დაურთველ დ პირველ ორ წელიწადს პიესას ვერავინ წარმოადგენს ქ. ტფილისში.

VI. დაჯილდოებულს პიესის ავტორს გონორარად მიეცემა თითო წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

შენიშვნა. სამ მოქმედებიან პიესის ავტორს მიეცემა შემოსავლის 3 პროცენტი.

VII. შედეგი პიესების კონკურსისა გამოცხადდება გაზეთებში.

(10—6.—2)

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) დ საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს დ გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისის, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კროვატი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კროვატი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

მორიგი

## წლიური კრება
ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წევრთა

### დანიშნულია

21 მაისს, კვირას, დილის 10 საათზე, ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. განსახილველია და დასამტკიცებელი წასული წლის ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისათვის.

გამგე ამხანაგობისა ნ. წერეთელი

## ქუთაისის ჰაჭვგვცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია ნ. ა. საბაჯევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში 1 ივნისიდგან გადატანილ იქნება ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—7)

## შემოწირულება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

კნიაჟნა ბარბარე ირაკლის ასულმა მუხრან-ბატონმა—ხელთათმანების ყუთი, სადარბაზო ბარათების ჩასაწყობი თეფში, ჩაშკა და სამი მანეთი ფულად.

სოსიკო მერკვილაძემ—იაპონური ჩიტი, იაპონური ეკრანი, საფინჩხე ჰაგრულათი, იაპონური საკალმე, კუს ძვლის პატარა ხომალდი, წიგნების საჭრელი ბრინჯაოს დანა, იაპონური ქოლგა, წიგნაკები: „ხალხური ანდაზები და გამოცანები“ და „სულიკო და სასიმღერო ლექსები აკაკისა“.

გრიგოლ ელიზბარიშვილმა—ერთი პირსახოცი, ერთი ცხვირსახოცი, ქამარი, სამი ქისა, ორი პორტმანე, ხელის საპონი, ოდეკოლონი და ყელის შესაბამი.

## ახალი ამბავი

*** როგორც ნამდვილად შევიტყეთ, მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰი მუზაფერ-ედდინი ტფილისში ორშაბათს, 15 მაისს, დილის 10 საათზედ, ჩამობრძანდება და არა დღეს, როგორც ადგილობრივ გაზეთებში იყო აღნიშნული.

*** როგორც მოსკოვიდგან გვატყობინებენ დეპეშით, „საქართველოს სამოთხეს“ ავტორი, ცნობილი საეკ-

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

წიგნების საბეჭდავ საშვალების გამომგონი ჰუტენბერგი.—წიგნები წინად და ეხლა.—ცენზურა ოსმალეთში.—მუნესიულლი დ ოსმალელი ცენზორი.—„სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო“.—ჯიბგირი მწერალი-ქალი.—ჯიბგირები და ქურდები პარიჟის გამოფენასა და ლონდონში.

წელს სწორედ 500 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც წიგნის ბეჭდვის საქმის გამომგონი—ჰუტენბერგი დაიბადა. ერთის თვის შემდეგ აზრადა აქვთ როგორც რუსეთსა, აგრეთვე ევროპაში იდღესასწაულონ ჰუტენბერგის დაბადების დღე და პატივი სცეს ამ შესანიშნავის კაცის ხსოვნას. გაზეთები კარგა ხანია შეუდგნენ იმის ბიოგრაფიის ბეჭდვას; სამწუხაროდ ამ მხრივ წარსულმა ბევრი ვერაფერი გვიანდერძა: ჰუტენბერგის ცხოვრება ბურუსით არის მოცული: არ იციან სად დაიბადა, როგორ სცხოვრობდა და სად გარდაიცვალა. იციან მხოლოდ ის, რომ ჰუტენბერგი 1456 წელს შეუდგა პირველ წიგნის ბეჭდვას ქალაქ მაინცში, და აგრეთვე ის, რომ მან, როგორც სხვა მრავალმა, „მეცნიერებისათვის წამებულმა“, ცხოვრებაში ბევრი წვალება, ბევრი შავი და მწარე დღე გამოიარა.

ჰუტენბერგი შესანიშნავ კაცთა იმ მცირე გუნდს ეკუთვნის, რომელთა წყალობითაც კაცობრიობა სისწრაფით მიდის წინ პროგრესისა და განათლების გზაზედ; ასეთის კაცების წყალობით მცირე ხნის განმავლობაში კეთდება ის, რასაც უიმათოდ მთელის საუკუნოების შრომა და მეცადინეობა დასჭირდებოდა. ყველასათვის აშკარაა, რომ ჰუტენბერგის შემდეგ კულტურისა და პროგრესის ერთი უმთავრესი გამავრცელებელი და მომფენი დედამიწის ზურგზედ წიგნი შეიქმნა. წიგნის საშუალებით კაცი ჰკითხულობს ჰენიოსთა ნაწარმოებს, სწავლობს ყველა იმას, რაც-კი გამოსადეგია ადამიანისათვის, იგებს უცხო-ქვეყნების ცხოვრებას, იქ მომხდარ ამბებს, უზიარებს მახლობელთა და შორეულთ თავისს გამოცდილებას და სხვა.

***

აკი კიდეც იმიტომ მე-XV საუკუნიდგანვე გულმოდგინედ შეუდგნენ ჰუტენბერგის მიერ დაწყებულ საქმის გაუმჯობესებას დ ათას ნაირ წიგნების ბეჭდვას. აშკარაა, შეუძლებელია დაჰეშმარიტებით იმის გამოანგარიშება, თუ ჰუტენბერგის შემდეგ რამდენი და რანაირი წიგნი დაიბეჭდა, მაგრამ დაახლოვებით ცნობები ამის შესახებ მაინც მოიპოვება; ფრანგის ბიბლიოფილის პენიოს გამოანგარიშებით, 1456 წლიდგან 1822 წლამდე დაბეჭდილ წიგნების რიცხვი 3,681,000-ია (ეს მხოლოდ დაბეჭდილ თხზულებათა რიცხვია და არა რიცხვი ამ თხზულებათა ცალკე ეგზემპლიარებისა). მეორე ბიბლიოფილი—შარლ ნოდიე ცოტა ნაკლებს ანგარიშობს—3,277,000-ს; მაგრამ განსხვავება მაინც მაგდენად დიდი არ არის. პირველ ასს წელიწადს ე. ი. 1456 წლიდგან 1556 წლამდე, პენიოს აზრით, დაიბეჭდა სულ 42 ათასი წიგნი, მეორე ასს წელიწადს, 1556—1656 წლამდე—575 ათასი წიგნი, მესამე, 1656—1756 წლ.—1,225,000 წ., ხოლო 1756—1822 წლამდე—1,839,000 წიგნი. თუ ჩავაგდებთ, რომ თითო თხზულება 300 ცალი დაიბეჭდა და ამ დაბეჭდილს წიგნებს გავამწკრივებთ, იგი სიგრძით დაიჭერს 18,207 მილს ადგილს.

ეს 1822 წლამდე დაბეჭდილი წიგნები. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამ წლიდგან დღემდე ერთი ორად და სამად მეტი წიგნი დაიბეჭდებოდა. მარტო ისეთი ნაწარმოები, რომელიც სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის დარგს ეკუთვნის, ყოველ წელიწადს გერმანიაში 23 ათასი იბეჭდება, საფრანგეთში—13 ათასი, იტალიაში—10 ათასი, ინგლისში—6½ ათასი, ამერიკაში—5½ ათასი.

***

ასე გავრცელდა დღეს წიგნი ჰუტენბერგის გამოგონების წყალობით. ზემოდ ჩამოთვლილ სახელმწიფოებს გარდა, სხვაგანაც ათასობით და ათი-ათასობით იბეჭდება წიგნები. ამათ რიცხვს, შეიძლება, მარტო ოსმალეთი და ორიოდე სხვა სახელმწიფო არ ეკუთვნოდნენ. ოსმალეთში წიგნის გამოცემა ადვილი საქმე არ გეგონოთ. ცენზორები სხვაგანაც არიან, მაგრამ ოსმალელი ცენზორი დასაბეჭდად განმზადებულ ხელნაწერს ან სულ წაჰშლის წითელის მელნით, ან კიდევ აქა-იქ ისე გახაზგამოხაზავს, ისე შეასწორ-გადაასწორებს, რომ თქვენ, ავტორი, ეგვიპტურ იეროგლიფების და ვანის ლურსმულ წარწერების წაკითხვას უფრო ადვილად შესძლებთ, ვიდრე ამ ცენზორის კალმის ქვეშ გატარებულ თქვენისავე საკუთარის თხზულების აზრის გაგებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლესიო ისტორიკოსი მიხეილ საბინინი 10 მაისს გარდაცვლილა.

*** ხუთშაბათს, 11 მაისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს განსვენებულ ნ. ზუბალაშვილის მიერ ქალაქის სასარგებლოდ ნაანდერძევ დიდ ძალ ფულისა და ქონების განაწილება ქალაქის სხვა და სხვა საჭიროებისათვის. კომისიამ, არ ვიცით, რა მიზეზით, მაგრამ ამ საქმის განხილვა ეხლაც კიდევ შემდეგისათვის გადასდო. მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ განსვენებულმა ზუბალაშვილმა ანდერძით, სხვათა შორის, ტფილისის ღარიბ-ღატაკ მცხოვრებლების სასარგებლოდაც რამდენიმე ათასი მანეთი გადასდო, მაგრამ ამდენი ხანი გავიდა და ჯერაც განსვენებულის სურვილი სისრულეში არ მოუყვანიათ. საკვირველია ღმერთმანი, რაღას უცდის გამგეობა და კომისია და რატომ არ ეცდება ამ საქმის მოგვარებას?

*** ჩვენ მივიღეთ მე-4 № „Le Caucase Ilustre“-ისა. ამ ნომერში დაბეჭდილია ჭავჭავაძის პოემის „განდეგილის“ გაგრძელება, „პეპო“ პიესა სუნდუკიანცისა (გაგრძელება), წმ. შუშანიკისა და წმ. ქეთევანის სურათები, ტიპები ქართველებისა (თავადისა, მუშისა, კინტოსი), ზოგიერთი სცენები „სამშობლოდგან“ და სხ.

*** ქალაქის საბჭოს 15 მაისის სხდომაზედ, სხვათა შორის, მოისმენს მოხსენებას იმის შესახებ, რომ ნატახტარიდგან ქალაქისთვის წყალი გამოიყვანონ და ქალაქი ელექტრონით გაანათონ. ფირმას „შუკერტი და ამხ“. გამგეობისათვის 10,000 მანეთი გამოუგზავნია უკვე ბედ და აუწყებს, რომ ფირმის რწმუნებულიც 15 მაისს ჩამოვა ქალაქთან მოსალაპარაკებლადა და ხელშეკრულობის დასაწერადაო.

*** მალე საბჭოს წარედგინება განსახილველად გამგეობის მიერ შემუშავებული პროექტი იმის შესახებ თუ უსახელო საზოგადოების ტრამვაის ვაგონებმა რა რიგითა და წესით უნდა იარონ. საჭიროა, ამავე დროს საბჭომ იმ გარემოებასაც ყურადღება მიაქციოს, რომ ტრამვაის მსახურთ დასვენება სრულიად არა აქვთ და დღე ღამეში თითქმის 18 საათსა მუშაობენ.

*** ქალაქის გამგეობას დაუდგენია: კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოსაკენ მიმავალ ქუჩის მოსაკირწყლავად და შესაკეთებლად გადადებულ იქმნას 5,283 მან. და 60 კ. იმ თანხიდგან, რომელიც ქუჩების მოსაკირწყლავად ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან უნდა მიიღოს ქალაქმა და 500 მან. იმ გზის შესაკეთებლად გადასდოს, რომელიც ვერაზედ მიდის სომეხ გრიგორიანთა სასაფლაოსაკენ.

*** ტფილისის საგუბერნიო ექიმი ტ. ს. ქიქოძე და მისი თანაშემწე რ. დ. მაჭავარიანი გორის მაზრაში წავიდნენ ამ მაზრის ზოგიერთ ადგილების მცხოვრებთა ჯანმრთელობის შესამოწმებლად.

*** ამ მაისის დამლევს პეტერბურგიდგან მეორე დრამატიული დასი აპირებს ჩამოსვლას ტფილისში დასი გაცილებით უმჯობესია იმასთან შედარებით, რომელიც ახლა ჰმართავს წარმოდგენებს სახაზინო თეატრში და მონაწილეობას იღებენ საიმპერატორო თეატრების ისეთი მსახიობნი, როგორიც არიან, მაგალითად, მთელს რუსეთში განთქმული სავინა, რომლის იუბილეიც რუსულმა თეატრმა ამ წელს გარდაიხადა დიდის დიდებითა, და დოლინი. რადგანაც 11 მაისიდგან ბანკის თეატრში წარმოდგენების გამართვა ნება დართულია, პეტერბურგის დრამატიულ დასის წარმოდგენები აქ იქმნება გამართული. დეპეშა ამის შესახებ უკვე მიუღია ქარვასლისა და თეატრის გამგე კომისიას.

*** საზაფხულო თეატრში მალოროსიულ დასის წარმოდგენების დაწყება სამის დღით შეგვიანდება, რადგანაც დიდის წვიმების გამო გზები შეიკრა და მსახიობნი დროზედ ველარ ჩამოვიდნენ.

*** ქუთაისის გუბერნატორი გენერალ-მაიორი გერშელმანი და ქუთაისის საგუბერნიო ექიმი ბ-ნი სერგეევი ტფილისში ჩამოვიდნენ.

*** ბათუმსა და ტფილისს შორის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა უკვე დაიწყო. ბაქო-ტფილისს შუა გზა ჯერ არ არის გაკეთებული. მატარებლების პირდაპირი მიმოსვლა 15-მდის უთუოდ დაიწყება, თუ ამინდმა ხელი შეუწყო და მუშაობა არ შეაყენა.

*** როგორც ჭიათურიდგან იუწყებიან, შავის ქვას მადნეში მომუშავეთა შორის მუცლის სახადი გაჩენილა. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ უკვე საჭირო ღონისძიებანი იხმარა.

*** როგორც სოფ. ფხოვლიდგან გვატყობინებენ, მთელს სიღნაღის მაზრაში დიდის ნიაღვრებისა გამო გზები და ხიდები მთლად დაზიანებულა. 4 მაისს, ნაშუადღევს, ს. ფხოველში სეტყვა მოსულა და პურის მოსავალი თუ ვენახი იქამდის დაუზიანებია, რომ ვენახები მერმისაც აღარ გამოდგებიანო.

*** როგორც გორიდგან იწერებიან, 6 მაისს ადიდებულ ლიახვს ქალაქის დასაცველად ამოყვანილი ლობეყორე გამოუგლეჯია, მაგრამ დროზედ ისევ შეუკეთებიათ და ამ ხნობით ლიახვის პირად მდებარე გორი წალეკვისაგან უხსნიათ. როგორც ამ მავალითიდგანა სჩანს, არსებული ლობეყორე საკმაოდ ვერ იმაგრებს წყალსა და საჭიროა ახლავე იფიქრონ რამე გორმა, თორემ, ადრე თუ გვიან, წალეკვა არ ასცდება.

*** ქიზიყი. წლევანდელი სადა გაზის რქა ხოხბის ყელივით ელავს. სატკეპარი აღარ გამოხნდება, მარტის დამლევშივე ამბობდა მუშა-ხალხი, და მართლაც ახდება ეს წინასწარმეტყველება: წელს ქიზიყის შეუწამლავ ვენახებსაც-კი მალიან იშვიათად ეტყობა ობის (მილდიუს) ნიშნები. სულადის მოსავალსაც ჯერ-ჯერობით ჩინებული პირი უჩანს. აპრილის დამლევიდამ უცბად აიწია პურის მაზანდამ: ფუთი ხორბალი 1 მ. 40 კ. იყიდება და ფქვილი 1 მ. 60 კ. სიძვირის მიზეზი ზაქათალის დამშეული ოლქია, რომლის გაჭირი — ხოკები დიდ-ძალ სულადს ჰყიდულობენ დღეს ქიზიყში.

*** ცაგერი (ლეჩხუმი). 7 მაისს საიარმუკოდ ვაჭრები მოვიდნენ აქ ქუთაისის გუბერნიის ყველა კუთხიდგან იარმუკობა ერთს კვირას გასტანს. თუმცა რამდენიმედ წვიმამ მეუშალა ხელი, მაგრამ იარმუკის საქმე ჯერ-ჯერობით კარგად მიდის.

შინაური ოთხფეხი საქონელი მკვდრობს, ხოლო პური და ღვინო-კი იაფიაა.

## ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.

4-ს მაისს, კრების დაწყებისათანავე, გუბერნიის წინამძღოლმა, კრების თხოვნის თანახმად, წაიკითხა ის მოხსენება, რომელიც მას სენატისთვის გაეგზავნა. ამ მოხსენებით გუბერნიის წინამძღოლს უთხოვნია სენატისთვის, რომ მას ნება მიეცა დეპუტატთა საკრებულოსთვის მხოლოდ იმ მამულ̈ელთა ღირსება გაერჩია, რომელნიც მე-60 წლების კომისიების სიებში მოხვედრილიყვნენ და ამასთანავე პირად ცნობასაც ოდნავ ადგილი მისცემოდა; მაგრამ, როგორც თვით წინამძღოლის სიტყვიდგანა სჩანს, სენატს ეს წინადადება უარ-უყვია და უბრძანებია, რათა დეპუტატთა საკრებულოს მხოლოდ ფორმალურ საბუთების მიხედვით გაერჩია საქმეები.

ამის შემდეგ განხილულ იქმნა 7-ის თავად-აზნაურის საჩივარი, რომელნიც თხოულობდნენ, რათა მინიჭებოდათ უფლება კრებაში მონაწილეობისა, რადგანაც ისინი სხვადასხვა დროს საანაზურო თანამდებობის აღმასრულებლად არჩეულნი ყოფილან. ხანგრძლივის ბაასის შემდეგ ამოარჩიეს კომისია (ლ. თ. ლოლუა, დ. ნ. ბაქრაძე და ალ. მ. ქობაკიძე), რომელმაც ორ-საათ ნახევარი მოანდომა ბჭობას. ბოლოს იმათი თხოვნა იურიდიულის მხრივ საფუძვლიანადა სცნეს, მაგრამ, რადგანაც მაზრის წინამძღოლებს და დეპუტატთა საკრებულოსაც ისინი სიიდგან გამოერიცხა, კრებამ საქმე კენჭით გადასწყვიტა, რაიცა მთხოვნელთა სასარგებლოდ დაბოლოვდა და მიღებულ იქმნენ: გ. ი. წულუკიძე, პ. ბ. ჩხეიძე, ნ. კ. ხიდირბეგიშვილი, ნ. ს. თაყაიშვილი, დ. კ. მიქელაძე, ნიკ. აბაშიძე.

მერმე გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ. ს. გ. წერეთელმა კრებას შემდეგის ვრცელის სიტყვით მიმართა: „საჭიროდ ვრაცხ განვმარტო ზოგიერთ გაზეთის მიერ გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ვითომც სამეგრელოს ყოფილ სამთავროს მცხოვრებთ დასამტკიცებლად თვისის აზნაურობის ღირსებისა წარმოედგინოთ ყალბი საბუთები და ვითომც ამ სამწუხარო ისტორიაში თვით დეპუტატთა საკრებულო თანამონაწილე ყოფილიყოს.

„ეს ხმები გაავრცელა თავისის წერილებით ერთმა უმნიშვნელო და მცირე ადგილობრივმა გაზეთმა; ეს წერილები არავითარის ყურადღების ღირსნი არ არიან, რადგანაც ასეთი წერილების ხასიათი და საგანი ყველას კარგად მოეხსენება. მაგრამ როცა ამგვარი ხმები სატახტო ქალაქის გაზეთებშიაც ადგილს ჰპოულობს, ისეთს გაზეთებში, რომელთა მეოხებით მთელის რუსეთის საზოგადოებრივი აზრი მყარდება, შეუძლებელია ასეთის გარემოების უყურადღებოდ დატოვება.

„რუსეთის საზოგადოების აზრი ჩვენთვის იმდენად ძვირფასია და საყურადღებო, რომ ჩვენს მოვალეობად ვსთვლით ცხად-ვყოთ, რავდენად უსაფუძვლოა ეს ხმები და რომ იგი ხმები ზოგიერთ ბატონისაგან პირადის ანგარიშის გამო არის გავრცელებული. ჩვენი მოვალეობაა, გავფანტოთ ეს ცრუ ხმები და ვიპოვოთ ღონისძიება, რომ ჩვენ ისე გვიცნობდნენ, როგორნიცა ვართ, და არა ისე, როგორაც უნდათ გამოგვიყვანონ სხვის წინაშე ზოგიერთა ყველასაგან ავად ცნობილმა ვაჟბატონებმა: ასეთი მწერლები თითქოს თვალზედ ხელს იფარებენ, საზოგადოებას და ბეჭდვით სიტყვას გზას უბნევენ, ავრცელებენ ცრუ ხმებს თავად-აზნაურთა წარმომადგენლებზედ და ჰგონიათ, რომ ამით საქვეყნო საქმეს ჩავდივართო. მე დარწმუნებული ვარ, რომ მოვახერხებ ამ ცრუ ხმების გაბნევას და, თუ შევძელ, ჩემს თავს ბედნიერადაც ჩავთვლი, რადგან ერთხელ მაინც დაფიქრდნენ ის კაცები, რომელნიც ასე გულ-მოდგინეთ ავრცელებენ საძაგელ ცრუ-ხმებს, ეგებ ერთხელ მაინც შეიგნონ თავიანთი ურიგობა.

„მოგეხსენებათ, რომ სამეგრელოს მცხოვრებთა წოდების უფლებათა გარჩევა მე—60 წლებში მინდობილი ჰქონდა ორს საგანგებო კომისიას, რომელთაც მოასწრეს გა-

---

ყველაზედ უფრო მეტ ტანჯვაში იქ ცენზორისაგან გაზეთის რედაქტორ-გამომცემელია. ოსმალელ რედაქტორს და იმის თანამშრომელთ თითქმის არც ერთის საყურადღებო საგნის შესახებ არ შეუძლიანთ წერა, და სწორედ გასაკვირველია, რომ იქ გაზეთები მაინც კიდევ იბეჭდება. ბევრი ისეთი სიტყვაა, მაგალითად, დინამიტი აფეთქება, რეფორმა და მრავალი სხვა, რომლის გაზეთში ხმარებისათვის რედაქტორმა მთავრობას აღარ უნდა დაუცადოს, თვით აიკიდოს გუდა-ნაბადი და ნება-ყოფლობით კატორგისაკენ გაუდგეს გზას. ოსმალური გაზეთების მკითხველები დღესაც დარწმუნებულნი არიან, რომ ავსტრიის დედოფალი ელისაბედი მოხუცებულობისაგან გარდაიცვალა, ხოლო საფრანგეთის პრეზიდენტი კარნო—გულის ფრიალისაგან.

***

ნაკლები დღე ცენზორისაგან ოსმალეთში არც თეატრის დირექტორებსა, არტისტებსა და დრამატურგებს ადგიათ. იმათაც დიდი სიფრთხილე ჰმართებთ, რომ სცენაზედ აღკრძალული რამ არ წარმოითქვას. შარშან კონსტანტინეპოლში შესანიშნავი ტრაგიკოსი მუნე სიულლი იყო. სიულლიმ მხოლოდ ხუთი-ექვსი წარმოდგენა გამართა, მაგრამ ესეც საკმაო იყო, რომ ცენზორს იმისთვის სისხლი გაეშრო და თავ-ბედი ეწყევლინებინა. ცენზორი მთელს სცენებს ჰშლიდა პიესაში, ასე რომ არტისტებს წარმოსადგენად აღარაფერი რჩებოდათ. ასეთი ცენზორი, უეჭველია, ჩვენის არტისტების დიდს მადლობას დაიმსახურებდა: იგი როლების შესწავლას ბევრად შეუმსუბუქებდა მათ, მაგრამ მუნე სიულლი-კი ვერაფერი მადლობელი იყო ცენზურისა.

სხვათა შორის ცენზორმა წაშალა ვიქტორ ჰიუგოს პიესაში, „რუიბლაზში“, ის სცენები, სადაც მინისტრები სახელმწიფოს სიმდიდრეს ჰფლანგავენ. „ამის წარმოდგენა შეუძლებელია,—უთქვამს ცენზორს,—მაყურებელნი იფიქრებენ, რომ ჩვენებური მინისტრებიც ასევე ჰფლანგავენ სახელმწიფოს ქონებასო“. ამოშალა ცენზორმა მეორე ადგილიც, სადაც რუი-ბლაზი მინისტრებს ეუბნება: „bon appetit, Messieurs!“-ო. ამის ნაცვლად ცენზორმა დაადგინა, აქ მინისტრებისა და რუი-ბლაზის მაგივრად სცენაზედ რეჟისორი გამოვიდეს და გამოაცხადოს: „ბატონებო, სამინისტრო გადადგაო!“ სწორედ ისე, როგორც ჩვენი არტისტები გამოაცხადებენ ხოლმე, ამა და ამის ავადმყოფობისა გამო, სხვა პიესას წარმოვადგენთო.

***

ასეთის ზნის ხალხი ყოფილა ოსმალელი ცენზორები, და მუნე სიულლი ნება-უნებურად უნდა დაჰმორჩილებოდა იმათ მოთხოვნილებას. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო“. ესპანიაში რომ მიჰხვიდე, მაგალითად, და სტუმრად ეწვიო ვისმეს, დიდ უზრდელად ჩაგთვლიან და შეიძლება კინწის კვრითაც გამოგაგდონ სახლიდგან, თუ სადილზედ ღვინით სავსე ჭიქა დასცალე; ჩვენში-კი, თუ არ გამოსცალე ჭიქა, „კისერში ჩაგასხამო“, მოგაძახებს თამადა. იტალიაში კიდევ ზრდილობა სულ სხვას მოითხოვს: პირველი ჭიქა ძირამდე უნდა დასცალო, ხოლო მეორეზედ უეჭველად ცივი უარი განაცხადო. გერმანიაში ცოტა ხნით შესულ სტუმარს მასპინძელი ერთ ჭიქა ღვინოს მიართმევს ხოლმე, თუ მასპინძელს ეჩქარება, საათში ჩაიხედავს და ამით გააგებინებს სტუმარს, გამოთხოვების დროაო. ოსმალეთში მასპინძელი სტუმარს ყავას მიართმევს, შემდეგ სიგარასაც მისთავაზებს, მაგრამ თუ ტაში ტაშს შემოჰკრა და მოსამსახურეს უბრძანა, ყავა კიდევ მოიტაო, სტუმარმა უნდა იცოდეს, რომ ეს „გაეთრიე მეგობაროო!“-სა ჰნიშნავს.

ევროპასა და ამერიკაში ჩვეულებად არის მიღებული, ცოლიან კაცს რომ შეჰხვდებიან, ჰკითხავენ, თქვენი მეუღლე როგორა ჰბრძანდებაო. საშინლად აწყენინებ, ასეთის კითხვით ჩინელს ან იაპონელს რომ მიჰმართო. ასე გასინჯეთ, თუ გულად კაცს შეჰხვდით და ამასთან ჯოხიც აქვს ხელში, შეიძლება ასეთის კითხვისათვის ჯოხი გითავაზოს. მოახლე ქალი ისპანიაში უზრდელად ჩაგთვლის, დერეფანში შესვლის დროს წელზედ ხელი თუ არ მოჰხვიე და საალერსო სიტყვა არ უთხარი. კორსიკასა და ბევრგან სხვაგან-კი ასეთის საქციელისათვის მოახლის დანიშნული ხანჯლით აგკუწავს; ამერიკელი ქალი გარედ: ქუჩასა, რესტორანსა დ სხვაგან თავისს „კავალერს“ ერთსგროშს არ დაახარჯვინებს, ცხენის რკინის გზის ვაგონშიც-კი ბილეთის ფულს თვით გადაიხდის; ესპანიაში-კი „კავალერი“ ვალდებულია ქისას გაიკრას ხელი და გადასცეს მაღაზიის პატრონს ფული, თუნდაც მისმა „დამამ“ ათი ან ოცი თუმნის საქონელი იყიდოს. ამერიკელს ძალიან აწყენინებთ, ერთს ჭიქა ღვინოზედ რომ დაგპატიჟოთ და არ წაჰყვეთ; ესპანელი ყველაფერს შემოგთავაზებთ, რაც-კი გააჩნია, მაგრამ, ღმერთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნხილვა იმ გვარებამდე, რომლებიც ასო ხ—ანით იწყება; მერე კი კომისიის მოქმედება შეჩერებულ იქმნა, ხოლო მის მიერ გარჩეული გვარები დაუმტკიცებელი დარჩა.

„შემდეგში, 1890 წლის 17 აპრილს გამოცემულის კანონისამებრ, სამეგრელოს მცხოვრებთა წოდებრივ უფლების გარჩევა მიენდო ქუთაისის სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს, რომელსაც სხვა და სხვათა უფლების გასარჩევი 2,000-ზედ მეტი საქმე უნდა განეხილა.

„არ უნდა დავივიწყოთ, რომ მესამოცე წლის კომისია თავად აზნაურთა უფლებას არჩევდა ადგილობრივ, პირადის ცნობისა და ადგილობრივ ცხოვრება-ჩვეულების ცოდნისამებრ; იგი არ თხოულობდა არავითარს საბუთს და შთამომავლობის დამტკიცებას.

„დეპუტატთა საკრებულო-კი სულ სხვანაირად უნდა მოქცეულიყო: იმას უნდა გაერჩია ეს უფლებანი მხოლოდ ფორმალურის საბუთების მიხედვით.

„17 აპრილის კანონი პირად შეხედულებას არ იწყნარებს, არამედ გვიბრძანებს, რითა გარჩეულ იქმნას საქმე მხოლოდ წარმოდგენილის საბუთების მიხედვით. წარმოდგენილ საბუთების სინამდვილეს დეპუტატთა საკრებულო ამოწმებდა საგუბერნიო სამმართველოში დაცულის წიგნების საშუალებით. ეგ წიგნები არის: 1) სამეგრელოს მთავრის გასავალი დავთრები და 2) წიგნები იმავე სამთავროს მმართველობის საბჭოსი.

„სამეგრელოს მთავრის გასავალი დავთრები გარდაცემული ჰქონდა დეპუტატთა საკრებულოს, რომელმაც მიღებისათანავე დაწვრილებით აღწერა, შემდეგ ზონარი გაავლო და ბეჭედი დაჰკრა. ხოლო საბჭოს წიგნები საგუბერნიო სამმართველოში დარჩა შესანახად.

„1897 წლამდე საქმეები ჩვეულებრივის წესით მიმდინარეობდა, ხოლო ამ დროიდგან ხმა დავარდა, რომ დეპუტატთა საკრებულოში საეჭვო საბუთები შემოაქვთო. როგორც რიგი იყო, დეპუტატთა საკრებულომ იხმარა ყოველი ღონე, რომ თავიდგან აეცილებინა შეცდომები: ალიძვრებოდა თუ არა სრულიად მცირე ეჭვი ამა თუ იმა ადამიანის საბუთებისა და გვარეულობის შესახებ, დეპუტატთა საკრებულო მაშინვე ექსპერტებს იწვევდა; მაგრამ არა ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ექსპერტებს წარმოდგენილი საბუთი ყალბად ეცნოთ. ყველა ეს საბუთები დაწერილია მაშინდელ დროის ქაღალდზედ, ძველებურის ხელით და მთავრის ხელიც დაცულია.

„ამ გარემოებამ და იმანაც, რომ საქმის გარჩევაში, როგორც ზევით მოვიხსენე, პირადს შეხედულობას ადგილი არ დაეთმო, დეპუტატთა საკრებულო უკიდურესს მდგომარეობაში ჩააყენა.

„ამისთანა უხერხულ მდგომარეობისაგან განსათავისუფლებლად გუბერნიის წინამძღოლმა 1897 წ. 27 ნოემბერს საჭიროდ დაინახა ეშუამდგომლა, რათა დეპუტატთა საკრებულოს ნება მისცემოდა, გაერჩია საქმეები სამეგრელოს იმ მცხოვრებთა, რომელთაც მესამოცე წლებშივე განეცხადებინათ თავიანთის უფლების დამტკიცების სურვილი წოდებათა გამრჩევ კომისიებისთვის.

„ეს შუამდგომლობა დამყარებული იყო იმ მოსაზრებაზედ, რომ ყველას, ვისაც თავად-აზნაურობის ღირსების მიღების სიმართლე ჰქონდა, არ შეეძლო არ განეცხადებინა იგი ხსენებულ კომისიისათვის, რადგანაც მაშინ საჭირო არ იყო არც ფორმალური დამტკიცება და არც იმდენი ხარჯი, რამდენიც ახლა მოსდევს წოდებრივ უფლების დამტკიცებას.

„მაგრამ 30-ს იანვარს 1898 წელს გუბერნიის წინამძღოლმა ბ-ნ გენერალ-მეისტერისაგან ის პასუხი მიიღო, რომ, 1890 წლის კანონის თანახმად, დეპუტატთა საკრებულო ვალდებულია გაარჩიოს საქმე ყოველის მთხოვნელისა მის მიერ წარმოდგენილ საბუთისამებრ, მიუხედავად იმისა, არიან ისინი მოხსენებულნი თუ არა წოდების გამრჩევ კომისიათა სიებშიო. საბუთებად ითვლებიან:

1, ყოველგვარი მთავრის მიერ ბოძებული საბუთის ქაღალდი.

2, ოცდა-ოთხის აზნაურის მოწმობა, რომ მთხოვნელი 1853 წლამდის სარგებლობდა აზნაურობის ღირსებით, და

3, რომ მთხოვნელი სწორეთ იმისი შთამომავალია, რომელსაც საბუთი მიუღია მთავრისაგან.

ამასთანავე 1898 წლის ბოლოდგან, როდესაც საკრებულოს შეეკითხებოდა საგუბერნიო მმართველობა, ყოველთვის აცნობებდა ხოლმე, რომ ესა თუ ის საბუთის ქაღალდი თუმცა ჩაწერილია სამეგრელოს სამმართველოს საბჭოს დავთრებში, მაგრამ ჩამატებულ ფურცლებზეაო. ამის გამო გუბერნიის წინამძღოლმა პირადად და ოფიციალურადაც 19 თებერვალს, 1899 წელს, № 280-ით, სთხოვა ყოფილს ვიცე-გუბერნატორს ბ-ნ მიკლაშევსკის ეცნობებინა, როდის მომხდარა ეს ჩამატება ფურცლებისა საბჭოს დავთრებში: თვით საბჭოს მოქმედების დროს, თუ მას შემდეგ, როცა საგუბერნიო მართებლობას ჩაჰბარდა იგი დავთრები. ამავე წერილით სთხოვდა, რომ დავთრები დაეზონრნათ და და ბეჭედი დაეკრათ, რომ შემდეგში მაინც ასეთი ჩამატება აღარ მომხდარიყო. რადგანაც ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკრებულოსთვის, ეს თხოვნა განმეორებულ იქმნა 11 მარტს და 30 ივლისს 1899 წელს №№ 438 და 1142-ით, მაგრამ პასუხი არ მოგვივიდა. შემდეგ ეს გარემოება სენატსაც მოხსენდა და სენატმაც ბრძანება მისცა, რომ ეს დავთრები უთუოდ დაეზონრნათ და ბეჭედი დაეკრათ მომავალ შეცდომათა ასაცილებლად.

„მაგრამ დავთრებიისევ ძველებურად და ახლა საგუბერნიო მმართველობას დარჩა ისინი გამომძიებელმა ჩამოართვა.

საგუბერნიო მმართველობის პასუხი დეპუტატთა საკრებულოსთვის დიდ-მნიშვნელოვანი იქმნებოდა, მაგრამ, რაკი საგუბერნიო მმართველობამ არაფერი პასუხი მოგვცა, დეპუტატთა საკრებულომ მაინც სიმტკიცის საბუთებიდგან გამორიცხა ყველა ის საბუთის ქაღალდები, რომელნიც შეტანილი იყო ჩამატებულ ფურცლებზედ, თუმცა, შესაძლებელია, ასეთს ფურცლებზედ ზოგიერთი ნამდვილი საბუთებიც ყოფილიყო აღნიშნულნი.

„ამას გარდა დეპუტატთა საკრებულომ სხვა საშუალებასაც მიჰმართა: როცა რომელიმე გვარი აზნაურობის მაძიებლისა მეტად საეჭვო იყო, მაგრამ საქმეებში-კი ყოველგვარი დასამტკიცებელი ფორმალური საბუთები არსებობდა, მაშინ დეპუტატთა საკრებულოს ზოგიერთნი წევრნი განსხვავებულს აზრს დაადგებოდნენ ხოლმე. განსხვავებული აზრი ის იყო, რომ საკრებულოს საკუთარს აზრზედ მდგომი წევრნი აღიარებდნენ: რამდენადაც ვიცნობთ ამა თუ იმა საეჭვო გვარის მაძიებელს, როგორც გვარი არ არის მათი აზნაურთა გვარეულობისა, აგრეთვე არასოდეს მათ აზნაურობის ღირსებით არ უსარგებლნიათო. მაგრამ უმართებულესმა სენატმა, როგორც ნამდვილმა დამცველმა კანონიერებისამ, იმის შიშით, რომ საკრებულოს არ მიეთვისებინა უფლებანი ყოფილის წოდებათა გამრჩევ კომისიებისა, აგვიხსნა, რომ საკრებულოს რომელისამე წევრის პირად ცნობას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს საქმისათვისაო და დეპუტატთა საკრებულო ვალდებულია გაარჩიოს საქმე მხოლოდ საქმეებში შეტანილ ფორმალურ საბუთების მიხედვითაო.

„ხოლო რაიცა შეეხება იმ ხმებს რომ ვითომც გლეხები ასობით იმტკიცებენ აზნაურობის ღირსებასაო, სრულიად უსაფუძვლოა: ეს როგორ შეიძლებოდა, როცა აქამომდე მხოლოდ 300 საქმე თუ იქმნება გარჩეული, რომელნიც დამტკიცებულ იქმნა და 1899 წლის განმავლობაში 50 მეტს მთხოვნელს უარი ეთქვა.?!

„ეს ფაქტები ცხადად ამტკიცებს იმ დასკვნას, რომ დეპუტატთა საკრებულო ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რათა შეცდომები თავიდგან აეცილებინა, და რომ იგი ღირსეულად იქცეოდა ამ საქმეში. მაგრამ, თუ მაინცა და მაინც ზოგიერთი შეცთომა მოხდა, რაიცა აუცილებელია ყოველ იმ დაწესებულებისათვის, რომელნიც შებოჭილია ფორმალურობით, ეგ წარმოსდგა არა დეპუტატთა საკრებულოს დაუდევრობით, არამედ აუცილებლად იმის გამო, რომ საკრებულო ხელშეკრული იყო და არ შეეძლო გვერდი აექცია 17 აპრილის 1890 წლის კანონის მოთხოვნილებისათვისაო".

კრებამ ეს სიტყვა დიდის აღტაცებით მოისმინა და სთხოვა წინამძღოლს, ღონისძიება იხმარეთ, რათა ეგ სიტყვა დაბეჭდვინოთ სატახტო ქალაქის იმ გაზეთში, რომელშიაც გამოქვეყნებული იყო ადგილობრივის გაზეთის მიერ გავრცელებული ცრუ ხმებიო

## წერილი რაჭიდგან

ნეტარ ხსენებულმა ყოვლად უსამღვდელოესმა გაბრიელმა ბრძანა, როდესაც რაჭაში პირველად მობრძანდა: „ვმადლობ უ-დ შემძლებელ ღმერთს, რომ ჩემი სამწყსოს ერთი კუთხე — რაჭის მაზრა მშვიდობიანი, ღვთისა და კაცის მოყვარე ქვეყანა ყოფილაო." განვლო ამ სიტყვების თქმის შემდეგ რამდენიმე წელიწადმა და კიდევ ეწვია იგივე მღვდელ-მთავარი. მის აქ ერთი კვირის ყოფნაში ორკაცს დასჩეხეს და მოჰკლეს კაცი სხვა და-სხვა სოფელში. ზედიზედ რომ ცუდი ამბავი შემოესმა, მან წარმოსთქვა: „არ ვიცი, რა უბედურ დღეს მოვესწარ. რაჭისთანა მშვიდი და წყნარი ხალხი ამ ხუთი ექვსი წლის წინად საქართველოს არც ერთ კუთხეში არ იყო და ეხლა რას ვხედავ? უწინდელი ცხვრები დღეს მგლებად გადაქცეულან. არ ვიცი, ეს ჩემი ცოდვის ბრალია თუ ღვთის რისხვაო". მართლაც, ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ მეტად გაიგონებდით, კაცი კაცის ხელით მომკვდარიყოს. ეხლა? ეხლა კი დღე არ გაივლის, რომ კაცის ხელიდგან კაცის სიკვდილი არ გაიგონოთ, თუ სიკვდილი არა დაჩეხა მაინც. დღეს რაჭაში ამ საზიზღარ საქციელს პირველი ადგილი უჭირავს მთელ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით.

ნაადგომევს ბევრი ცუდი და საზიზღარი საქმე მოხდა რაჭაში. ერთი საშინლად დაჩეხილი კაცი მე თვით ვნახე: ქუთაისიდგან მოვდიოდი და რომ მოვაღწიე სოფ. ხოტევს, დავინახე, რომ გზაში ხალხს მოეყარა თავი. მივუახლოვდი ხალხს და შუაგულ გზაში დავინახე ერთი, ასე ორმოცდაათის ან ორმოც და-თუთხმეტის წლის, დაჩეხილი კაცი, რომელსაც ფერშალი თავზედ ადგა და დაჭრილ ძვლებს აცლიდა თავიდგან და დაჭრილ ადგილებს მსხვილ სადოსტაქრო ძაფით უკერავდა. საწყალი გლეხი უგრძნობლად ეგდო. მისი ცოლ-შვილის წივილ-კივილი

ფურცლავთ, რომ გამოართვათ რამე: ერთმა ესპანელმა მადრიდში კინაღამ გვერდები ჩაამტვრია ერთს ინგლისელს მხოლოდ იმისთვის, რომ ამ ინგლისელმა ესპანელის მიერ ნაჩუქარი* ჯოხი წაიღო.

* * *

ყველგან თეატრში სტვენა უკმაყოფილებისა და უსიამოვნების ნიშნად არის მიღებული, იტალიაში კი, როდესაც არტისტის თამაშობა მოსწონთ, მოწონების ნიშნად საშინელ სტვენას ასტეხავენ ხოლმე. პარიჟში მანდილოსნები წვიმის შემდეგ რჩეობენ ხოლმე ქუჩებში სეირნობას: შემთხვევა ეძლევათ ოდნავ კაბები აიწიონ და თავიანთი კოხტა და პატარა ფეხები დაანახვონ გამვლელ-გამომვლელთ. რომში-კი არა მაღალის საზოგადოების ქალი სირცხვილად მიიჩნევს კაბის აწევას; ის ცუდ ამინდის დროსაც-კი არხეინად მიათრევს ტალახში თავისს გრძელ კაბას. გერმანელი აფიცერი არასოდეს არ გაიხდის მუნდირს, ინგლისელი აფიცერი-კი რა წამს კაზარმაში საქმეს მორჩება, იმწამს მუნდირს გაიძრობს, სერთუკს ჩაიცვამს და ცილინდრს დაიხურავს ხოლმე.

არსად ევროპასა და ამერიკაში მამაკაცებისა და დედაკაცებისათვის საზოგადო აბანო არ არსებობს. იაპონიაში კი საზოგადო აბანოები ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული, რომ მთავრობამ ამ მოვლენის მოსპობა ვერ მოახერხა. იქ მამაკაცები და დედაკაცები, ახალგაზდანი და მოხუცნი, ერთსა და იმავე აბანოში, ერთსა და იმავე ოთახში სრულიად დედიშობილნი ბანაობენ და ასეთი წესი იქ სირცხვილად არ მიაჩნიათ; ამას არც ცუდი შედეგი მოჰყოლია როდისმე. ხშირად ქუჩიდგანაც კი ჰხედავთ, მანდილოსანი თავისს სახლის წინ როგორ ბანაობს. ასევეა სამკურნალო წყლებზედაც. იაპონელ მოსამსახურეს ერთი ინგლისელი აფიცერი აბანოში წაუყვანია. აფიცერი გამტერებულა, როდესაც აბანოში ქალები დაუნახავს. ისე შერცხვა თურმე საწყალს, რომ ვერც შესვლა მოუხერხებია და ვერც გამოსვლა. ქალებს, დაუნახავთ-რა, დარცხვენილი კაცი, სიცილი დაუწყვიათ, აბანოში შეუწვევიათ, მაგრამ აფიცერს მაინც ვერ გაუბედნია და ცოტაოდენის ყოყმანის შემდეგ უკან დაბრუნებულა.

* * *

ამ გვარს რასმეს ევროპაში ვერ შეხვდებით. მაგრამ სამაგიეროდ ევროპიელი მანდილოსნებიც ხშირად ბევრს ისეთს რასმეს სჩადიან, რასაც იაპონელი და ჩინელი ქალი ვერასოდეს ვერ გაჰბედავს. ამას წინად, მაგალითად, ბერლინის სასამართლომ განიხილა ერთის შეძლებულ, ახალგაზდა, რომანებისა და მოთხრობების მწერალ-ქალის საქმე. ამ ქალს ჰბრალდებოდა... ხელთათმანების მოპარვა. სასამართლოში ქალს გამოუცხადებია: „მე 22 წლისა ვარ, სახელად მარიამ გ... მქვიან; რომანებს, მოთხრობებსა და პატარა ამბებსა ვწერ გაზეთებისთვის. სხვათა შორის ამ ჟამადაც ვწერ რომანს. რომანში ქურდი მყავს გამოყვანილი. რათა უკეთ აღმეწერა ამ ქურდის ამბავი, მინდოდა თვით გამომეცადნა ყველა ის, რასაც ქურდი გამოსცდის ხოლმე ქურდობის დროს. ამიტომ განვიზრახე ხელთათმანის მოპარვა. ეს რომ მომეხერხებინა, მეორე დღეს თვითვე დავუბრუნებდი პატრონს ხელთათმანს". სასამართლომ თუმცა ირწმუნა იმის სიტყვები, მაგრამ მაინც კანონს ვერ გადაუხვია და ცოდნის—მოყვარე მწერალ ქალს ერთის დღით დაპატიმრება მაინც გადაუწყვიტა.

ურიგოს არ იზამს ეს ქალი, ქურდებისა და ჯიბგირების გასაცნობად პარიჟში რომ წავიდეს. დაიწყო გამოფენა და მიაწყდნენ კიდეც პარიჟს ათასობით ჯიბგირები და ქურდები! ყველაზედ ბევრი ქურდი კი ლონდონიდგან ჩასულა, ამ ჯიბგირებისა და ქურდების კლასიკურ ქვეყნიდგან. ლონდონში 300,000 კაცსა, ქალსა და ბავშვს ჯიბგირობა ხელობადა აქვს გადაქცეული. იქ ჯიბგირობის განსაკუთრებული კურსებიც-კი არსებობს. ყველა გამოცდილ მასწავლებელს საკუთარი „სწავლების მეთოდი" აქვს შემუშავებული. ასეთი მასწავლებელი „მოსწავლეებს" ჯერ საზოგადო წესებსასწავლის, მაგ. ზრდილობიან ლაპარაკს, სიტყვა-პასუხს, მიხვრა-მოხვრას, მანერებს და მხოლოდ ამის შემდეგ თვით „ხელობის" სწავლებას შეუდგება ხოლმე. ამასთან თეორია და პრაქტიკა განუყრელია: მოსწავლე „ხელობასაც" სწავლობს და საქურდლადაც დადის.

ლონდონში ჯიბგირებს საკუთარი დამხმარე საზოგადოებანიც და საპენსიო კასსებიცა აქვთ. ბევრი ჯიბგირი ჯიბგირობით დიდ ქონებას იძენს. ასეთი კაცი ბოლოს „ხელობას" თავს anებებს, სახლს ყიდულობს და არხეინად სცხოვრობს. მეზობლები, რასაკვირველია, ვერ იგებენ იმის წარსულს და ჰფიქრობენ, რომ მან თავისი ქონება პატიოსანის შრომით შეიძინაო.

ი. ა—ძე

სწორეთ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა. ერთ იქ მყოფთაგან გლეხს ვკითხე, ვინ არის ეს დაჭრილი-მეთქი? მან მიპასუხა: ეს გლეხი არსენა ენუქიძეა, სოფ. წკადისის მცხოვრებელი, სტუმრები გამოაცილა სახლიდგან, გზაში შეჰხვდა მისი ცოლის ძმა მელიტონ გურგენიძე და იმან დასჩეხა მკლდი წყენის მიზეზით. როგორც მითხრეს, საწყალ გლეხისთვის ქალებს ქვა დაუგრავთ და კბილები ჩაუმტვრევიათ. გლეხმა არსენა ენუქიძემ ორი დღე იწვალა და მესამე დღეს გარდაიცვალა. საწყალს დარჩა წვრილი ცოლ-შვილი. არსენა მშვიდი და უწყინარი ხასიათის კაცი იყო, ყველამ ასე მითხრა. მისი მკვლელი პოლიციიდგან გამოუშვეს და არხეინად დაბრძანდება. სოფ. ურავში დაერივნენ ახალ კვირას ერთმანეთის მეზობლები, ორ ძმას გაბეჯიშვილებს მოსჭრეს ცალ-ცალი ხელი და ერთს აზ. სიკო ჯაფარიძეს, რომელიც გასაშველებლად მივიდა, იქვე წელები გადმოაყრევინეს; მეორე დღემდი იცოცხლა და მაშინვე გარდაიცვალა. სოფ. მირაგეულს ყიფიანმა დასჭრა მძიმეთ სიკო საგანელიძე, რომლის მორჩენა ძალიან საეჭვოა. სოფ. შაგრის სიმემ მოჰკლა ცოლის ძმა გოლგოთობა დღეს. სოფ. იწას გლეხმა გურგენიძემ დასჭრა მძიმეთ ქალი, რომელიც ქმარს გადეფარა და უნდოდა სიკვდილისაგან ეხსნა. მისი მორჩენაც საეჭვოა. ის-ის იყო, ამ სტრიქონების წერას ვათავებდი, რომ ამბავი მოიტანეს: სოფ. ხიმ-ში გიორგი იაშვილს რევოლვერი ჰკრა მუცელში ამბაკო ობოლაშვილმა და იაშვილმა იაკობ ობოლაშვილი დასჭრაო. საწყალმა იაშვილმა მეორე დღეს სული განუტევა. ამბროლაურის ექიმი ბ-ნი ჯაფარიძე ხან აქეთ გარბის და ხან იქით დაჭრილთა საშველად, მაგრამ რა უნდა გაეწყოს, როდესაც ჯერ ერთის მოკვლა რომ არა აქვს გათავებული, მეორესთან უნდა გაიქცეს. უწინ თუ ჩვენი ძველები მტრის სისხლით ვერ ძღებოდნენ, დღეს ჩვენ ერთმანეთის სისხლით ველარ ვძღებით. წინა წლე-ბში ჩხუბი და კაცის კვლა უფრო თა-ვად-აზნაურებისაგან წარმოსდგებოდა, ეხლა-კი ეს სენი გლეხებსაც გადაედვათ და ესენი უარესს სჩადიან.

ვანო პიპინაძე

## ჟურნალ-გაზეთებიდან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ამერიკაში გარდაიცვალა ვინ-მე ვილიამ გაიესი. ამ გაიესს ანდერძად და-უტოვებია, ჩემს დასაფლავების დროს არა-ვინ იგლოვოთ და იტიროთო. საზოგადოდ შვილისთვის დაუვალებია, ჩემის გვამის და-საფლავება, რაც შეიძლება, მხიარულად ჩაა-ტარეო. ანდერძშივე ჩაუწერია, სასაფლაო-ზედ-კი არა, ჩემს საკუთარს ბაღში დამასა-ფლავეთო; ხეები ბაღში ჭრელის ლენტე-ბითა და ყვავილებით მორთევით, სადილად მთელი ქალაქი მოიწვიეთ, დაჰკალით ხუთი ხარი, ოცი ცხვარი და მრავალი გოჭი და ქათამი; სადილს შემდეგ ბაღი გაჩირაღ-დნეთ და ცეკვა-თამაშში გამართეთო. რად-განაც გაიეს ანდერძში ისიც ჩაუწერია, რომ, თუ ჩემმა შვილმა ყველა ეს სისრუ-ლეში არ მოიყვანოს, მემკვიდრეობა ჩამო-ერთვასო, შვილი იძულებული გახდა, ისე მხიარულად დაესაფლავებინა მამის გვამი, როგორც ანდერძში იყო ნათქვამი.

***

„პოლსკი კურიერში" სტატისტიკური ცნობებია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ ვარშავის პოლონურ გაზეთებს რამდენი ხე-ლის მომწერი ჰყავს. ყველაზე მეტი ხე-ლის მომწერი თითო „პოლ. კურ."-სა ჰყავს—12,012, შემდეგ „პოლ. გაზეთს"—7003, „ვარშავას დღიურს"—6000, „სლო-ვოს"—2,980, „კეკ"-ს—2553, „ყველას დღიურს"—2330, „ყოველდღიურ კური-ერს"—1730, „ვარშავულ გაზეთს"—899, „კომერციულ გაზეთს"—5892 „დილის კუ-რიერს"—530 ხელის მომწერი.

## გამოსადეგი ცნობა

დამძალებული ძროხის ერბო როგორ უნდა გკეთდეს.

პროფესორი ყირარდენი სულ უბრა-ლო საშვალებას ურჩევს ამისათვის. დამძალებული ერბო წყალში უნდა გაი-რეცხოს კარგად; სჯობია წყალი ცოტა მლაშე იყოს, ან და წყალში ცოტა ორ-ნახშირ მჟავე (дву-углекислая сода) სოდა იქმნას გახსნილი და ერ-ბო ამ წყალში გაირეცხოს. მერე ერ-ბოს ამოიღებენ ამ წყლიდგან, სუფთა წყალში რამდენჯერმე ხელ ახლად გარ-რეცხენ და ცოტა მარილს მოაყრიან. პარნი კიდევ სხვა საშვალებას ურჩევს. პარნის აზრით, დამძალებული ერბო უნდა გაილესოს წყალში, რომელსაც 20-დგან 30 ცვარი ხლორ შერეული კირის სითხე (хлористый кальцій) უნდა მიემატოს $2^{1}/_{2}$ გირვანქა ერბო-ზედ. ამ წყალში ერბო რამდენსამე ხანს უნდა დარჩეს და შემდეგ სუფთა წყალ-ში გაირეცხოს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 მაისი

**პეტერბურგი.** 11 მაისს ხელმწი-ფე იმპერატორმა და ხელმწიფა იმ-პერატრიცამ ალექსანდრა თეოდო-რეს ასულმა გერმანელთა სამხატვრო გამოფენა დაათვალიერეს.

**ლოძი.** ემდეს სამღებრო ფაბრი-კის საქონლის საწყობი დაიწვა. 60,000 მან. ზარალია.

**ბაქო.** უბედურ შემთხვევისაგან მუშათა დაზღვევის პროექტი ნავთის მწარმოებელთა კრების მიერ მიღე-ბულ იქმნა. პრემიების გარდასახდე-ლად საჭირო იქნება ყოველწლიუ-რად 300,000 მან., ე. ი. ნავთის წარმოების შემოსავლის 2°/₀ და 5°/₀-მდე სამუშაო ფასიდგან გასაღები.

**ოდესსა.** აქ ჩამოვიდა გზათა მი-ნისტრი თავ. ხილკოვი, რომელიც ხვალ შავის ზღვით იალტაში წავა და მერე აქედგან ნოვოროსსიისკის შოსსეს დაათვალიერებს ავტომობი-ლით (თვით-მავალ ეტლით). მინისტ-რი დაათვალიერებს ტუაპსეს, სოჩს, სოხუმსა და ფოთს. ტფილისიდგან მინისტრი რკინის გზით ტაგანროგს წავა. მინისტრს თან სამოგზაურო მდინარეთა და ზღვათა დეპარტამენ-ტის დირექტორი ახლავს.

**ვლადიკავკაზი.** დიდის წვიმები-სა გამო ქალაქ გროზნისა და სტანი-ცა სლეპცოვსკაის ერთი ნაწილი მთლად წალეკილია; წყალ-დიდობი-საგან სხვა სტანიცებიც დაზიანებუ-ლია; მრავალი საქონელი დაირჩო და რამდენიმე კაციც. მცხოვრებ-ლებს დიდი ზარალი მისცა.

**ლონდონი.** როგორც ხმა ისმის, თეშერისაგან კრიუგერს ცნობა მიუ-ღია, რომელშიაც ურჩევს თურმე, და-ემორჩილდნენ რობერტსს და მიიღონ ის პირობები, რომლებსაც წარმოადგე-ნენ. თუ ინგლისელები მდინარე ვაალს გადავლენ, რობერტსი მაშინვე პროკლამაციას გამოსცემს, რომ ბუ-რგერების საქონელსა და ქონებას ხელს არ ვახლებთ, თუ თავისს ფერ-მებში დაბრუნდებიანო. როგორც ფიქრობენ, ამ პირობებით ბურგერე-ბი უთუოდ თავისს ფერმებს დაუბ-რუნდებიან.

**ვაშინგტონი.** როგორც ხმა და-დის, ამერიკის რწმუნებულის უკანას-კნელი ნოტა იმ კილოთია დაწერი-ლი, რომელსაც-კი დიპლომატიური ნოტა მოითხოვს და გადაჭრილ მო-თხოვნილების ხასიათი არა აქვს. ეჭ-ვი არ არის, ამ ულტიმატუმის გაგ-ზავნამდე მაკ-კინლეი კონგრესსის სა-ბჭოს ჰკითხავდა რჩევას.

**გეილბრონი.** პრეზიდენტი შტეი-ნი ამ ჟამად ფრანკფორტშია, გეილ-ბრონის სამხრეთით.

**ლონდონი.** რენოსტერის სამხ-რეთ ნაპირიდგან იუწყება რობერტ-სი: „ჩამოვედი აქა და ვნახე, რომ მტერი ღამით გაქცეულიყო; მდინა-რის ჩრდილო ნაპირზედ დიდი გამა-გრებული ადგილი დავიჭირე. შეიტ-ყო-რა მტერმა, რომ გამილტონის რაზმი გეილბრონში სდგას, ხოლო ცხენოსანი ჯარი მდინარეს გაღმა გავიდა და მისს მემარჯვენე ჯარს თავ-დასხმას უპირებსო, ამ სიმაგრეს თავი მიანება. ხიდი და რკინის გზის ლიანდაგი რამდენისამე ვერსის მან-ძილზედ დაქცეული და აშლილია. ლინდლეიდგან გეილბრონამდე დე-ვეტის ჯარს გამილტონი უკან მის-დევდა. რენოსტერზედ გადასვლის დროს ბურებმა წინააღმდეგობა გაგ-ვიწიეს. ჩვენი ზარალი დიდი არ არის".

ბოსგოფიდგან იუწყებიან, რომ ამ ბოლოს 300-მდე ორანჟელი ბუ-რი დაგვმორჩილდაო.

ფოლკსრუსტის ქვემოდ მდებარე ბურების ბანაკიდგან იუწყებიან: „გუ-შინ ბურების მოწინავე რაზმეი თავს დაესხნენ ბრიტანიის ჯარს ნგუტსა და მაუნტპროსპექტს შუა. 8 ინგ-ლისელი დაიხოცა და 13 დაიჭრა; ბურებს არავითარი ზარალი არ მო-სვლიათ. ბურებს ამ ჟამად, ვინემ ოდესმე სხვა დროს, მტკიცედ აქვსთ გადაწყვეტილი იბრძოლონ ინგლისე-ლების წინააღმდეგ და ტრანსვაალში არ შეუშვან.

**პრეტორია.** მოკავშირეთა ჯარე-ბმა გადასწყვიტეს იბრძოლონ უკა-ნასკნელ სისხლის წვეთამდე იოჰანეს ბურგის დასაცველად.

**დენდი.** რკინის გზის დროებით ხიდის გაკეთება მდინარე ვაშბანკზე დასრულდა.

**ლორენცო-მარკეზი.** ჰამბურგში წავიდა გემი „ბუნდესრატი", რომე-ლსაც მიაქვს 30,000 უნცი ოქროს ზოდი.

12 მაისი.

**პეტერბურგი.** კოტრად იქმნა გა-მოცხადებული საბანკო კანტორა ა. კუტუზოვისა. ვალი ექვსს მილიონს უდრის. ნაფიც მზრუნველად დანიშ-ნულ იქმნა ს. ნაზაროვი.

**პარიჟი.** თავადმა ურუსოვმა გახ-სნა სამხედრო და საზღვაო სამინის-ტროს განყოფილებანი გამოფენაზედ სადამოზედ დიდი ნადიმი იქმნა გა-მართული მინისტრის, რომელსაც მო-ესწრნენ კომისარები, დელეგატე-ბი და სხვანი. აღტაცებით დალიეს სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატო-რისა, ფინანსთა მინისტრისა და სხვა-თა.

**ლონდონი.** მდ. რენოსტერიდ-გან იუწყებიან: „ბურები ვაალისკენ მიდიან და ამბობენ, რომ სიკვდი-ლამდის ვიბრძოლებთო. ფრენჩი მდ. რენოსტერის ჩრდილოეთითა სდგას; ჰამილტონი მხარს უჭერს ფრენჩს, იმედი აქვთ, რომ ინგლისელები ამ ცოტა ხანში პრეტორიაში შევლენ. როგორც სთქვეს, ბურებს ორი ზა-რბაზანი ჩაუფლიათ მდ. რენოსტე-რის კალაპოტში.

**პრეტორია,** ოფიციალურია. ფიქ-სბურგთან ბრძოლაში, სადაც მეტუ-ენს ჩაუსაფრდნენ, ბურებმა ორი ზარბაზანი ჩაიგდეს ხელთ ხოლო იმ შეტაკებაში, რომელიც გეილბ-რონის დაჭერამდე მოხდა, ბურებმა ტყვედ 20 კაცი წაიყვანეს (ამათგან სამი ოფიცერია).

**პარიჟი.** რუსეთის სამხედრო და საზღვაო განყოფილებანი გამოფენი-სა ორის ნაწილისაგან შესდგება. ჯარისა ფლოტის სასახლეში ის ნივ-თებია, რომელიც სამხედრო და სა-ზღვაო სამინისტროთ გაჰგზავნეს. შენობაში, რომელიც სასახლეს ეკ-უთვნის, მოთავსებულია გამოფენები: არტილერიისა, ტოპოგრაფიისა და სამხედრო უწყების სასწავლებელთა.

# განცხადებანი

ამა **1900** წლის 1 სექტემ-ბრისათვის ტფილისის ქალაქის გამგეობას ხუთი სადგომი სჭირდება ქალაქის პირველ დაწყებით სკო-ლებისათვის **1, 4, 5, 7** და **10** ნაწილებში. თვითოეული სადგო-მი უნდა შეიცავდეს შვიდ ნათელ და მაღალ ოთახს, ამათგან სამი დიდი ოთახი კლასებისათვის; სიგრძე ამ ოთახებს **14** არში-ნამდე უნდა ჰქონდეს, სიგანე **7** არშინზედ არა ნაკლები. და-ნარჩენი ოთახები ჩვეულებრივ ზომისა უნდა იყოს. ამასთან სადგომს უნდა ჰქონდეს ეზო და საჭირო მოწყობილებანი.

ვისაც ჰსურს გააქირავოს ასეთი სადგომი, სთხოვენ მიჰ-მართოს თავისს პირობებით ქა-ლაქის გამგეობას ამა წლის პირველ ივნისამდე.

(3—6.—1)



თვით-მოძრავი ელევატორი ხან-აგოვისა.

ასეთს ელევატორს დღე და ღამ გა-ნუწყვეტლივ ამოაქვს წყალი თავის-თა-ვად ქვეიდგან ზევით. იგი საუცხო-ვოა მინდვრებისა და ბაღების სარწ-ყავად.

მსურველმა ამ ადრესით უნდა მი-ჰმართოს:

Л. Е. Ханъ-Агову, Тифлисъ, Петербургская улица, № 12.

(15—102—5)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ იმის თანდასწრებით ამა 1900 წლის 12 მაისს მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც გაიყიდება ქა-ლაქის (აბესალომოვისეული) ორ-სართულიანი აგარაკი მი-წით, ზომით 203 ოთხ-კუთხი საჟენი, დაბა ბორჯომში, ვო-რონცოვის ქუჩაზედ, პარკის მა-ხლობლად. ვაჭრობა სიტყვიე-რადაც შეიძლება და წერილო-ბითაც, დაბეჭდილის კონვერტე-ბით. აგარაკთან ერთად იყიდება მოძრავი ქონებაც: ავეჯეულობა, სასადილო, ჩაისა და სამზარე-ულოს ჭურჭელი. მიწა აგარაკს მიზომილი აქვს კავკასიის ნა-მესტნიკად ნამყოფის მიერ 1851 წლის 22 დეკემბერს დამტკიცე-ბულ იმ წესების თანახმად, რო-მელიც ბორჯომში საგარაკო მიწების სარგებლობას შეეხება.

მსურველთ პირობანი შეუძ-ლიანთ გამგეობის კანცელარია-ში გასინჯონ ყოველდღე, კვი-რა-უქმეებს გარდა, 10-დგან 2 საათამდე. დაბეჭდილი კონვერ-ტები მიიღება 1900 წლის 12 მაისამდე, დილის 12 საათამდე. ამ კონვერტებში უნდა იყოს: ბე 2000 მანეთი, აღნიშნული: სახელი, მამის სახელი, გვარი, წოდება და ადრესი იმისი, ვინც მამულის ყიდვას აპირობს, აგ-რეთვე უნდა აღნიშნოს უმაღლე-სი ფასი. იმათ, ვინც ქალაქს გა-რეთა სცხოვრობს და ვაჭრობა ჰსურს, პირობანი მოთხოვნილე-ბისამებრ გაეგზავნებათ.

(5—6.—4)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 12 მაისს შუადღის 12 საათზედ, იმის თანა-დასწრებით, მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა სა-მუშაო ელისაბედის ქუჩის გაგრძე-ლების (დიდუბიდგან ნაძალადევამდე) შესაკეთებლად. სამუშაო 1000 მანეთია.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიი-ღოს ვაჭრობაში, შეუძლიან პირო-ბანი გასინჯოს გამგეობის ამშენე-ბელ განყოფილებაში ყოველ დღე კვირა უქმის გარდა 9-დგან 3 საა-თამდე.

(3—6.—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Мая 1900 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე